ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

11 იანვარი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 7 (10 176) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დაწინაურდა ნინო ხურციძე

როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, კალინინგრადში მიმდინარეობს მოჭადრაკე გოგონათა საკავშირო პირველობა, რომელშიც ქართველი მოჭადრაკეებიც მონაწილეობენ. გუშინ სასიხარულო ამბავი გვაცნობა „ლელოს“ სპეციალურმა კორესპონდენტმა გიორგი ხომერიკმა, რომელიც ამ შეჯიბრების პერიპეტიებზე დეპეშის მეშვეობით „გვესაუბრება“. კალინინგრადში 5 ტურია გამართული. 4,5-4,5 ქულით ლიდერობენ ნინო ხურციძე და ირინა გრიგორიეევა, 4-4 ქულა აქვთ ანა საიროვასა და სიმბა დობრავაიტეს. 3,5-3,5 ქულა მოაგროვეს ნათია ჯანჯღავამ და სოფიკო ნიკოლაძემ. ჩვენს დანარჩენ მოჭადრაკეებს ჯერჯერობით ასეთი შედეგები აქვთ — ნატო ეძგვერაძესა და თეა ლანჩავას — 3-3 ქულა, ინგა ხურცილავას 2,5, დიანა დარჩიას — 2, სოფიკო ტერელაძესა და ეკა ტაბატაძეს — 1,5-1,5.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

განმეორებითი მატჩი

რიგა. გუშინწინ უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის განმეორებით მატჩში ადგილობრივი ვეფ-ი დამარცხდა კიევის „ბუდიველნიკთან“ — 95:106 (53:54).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 იანვრისთვის

ცსკა	23	21	2	44
ახკ (ალმა-ათა)	22	15	7	37
ვეფ (რიგა)	24	13	11	37
„ბუდიველნიკი“ (კ.)	22	14	8	36
„უალგრ.“ (კაუნ.)	23	11	12	34
„დინამო“ (მოსკ.)	20	13	7	33
რტი (მინსკი)	24	9	15	33
„სპარტაკი“ (ლენ.)	24	9	15	33
„კალევი“ (ტალინი)	21	11	10	32
„დინამო“ (თბ.)	21	9	12	30
„შახტიორი“ (დონ.)	22	7	15	29
„სტატიბა“ (ვილნ.)	22	2	20	24

დინამოელები გაემგზავრნენ

თბილისი. „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივი წინასასეზონო მზადებისა და ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად დღეს გაემგზავრა უცხოეთს. 12 იანვარს ჩვენი გუნდი პარიზში ჩავა, მეორე დღეს კი ტულუზაში ითამაშებს ადგილობრივ „როდეზთან“. შემდეგ დინამოელები პარიზს დაუბრუნდებიან და იქ 16 იანვარს შეხვდებიან ალჟირის ეროვნულ ნაკრებს.

17 იანვარს თბილისის „დინამო“ ქენევას გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს მინიფეხბურთის საერთაშორისო ტურნირში, შემდეგ კი, 21 იანვარს, ჩავა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ შტუტგარტში და იქაურ სპორტულ ბაზაზე განაგრძობს წინასასეზონო მზადებას. 4-5 თებერვალს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაგეგმილია დინამოელთა შეხვედრები ადგილობრივ გუნდებთან, შემდეგ გუნდი შინ დაბრუნდება და 9-23 თებერვალს ლესელიძის სპორტულ ბაზაზე გაგრძელებს მზადებას.

1 მარტს დაგეგმილია სსრ კავშირის თასის მატჩი კიევის „დინამოსთან“.

„...და საფეხბურთო დაპტება

გულდასმით გავეცანი კონცეფციის პროექტს. ჩემი აუცილებლად განსაკუთრებით მიიპყრო XI თავის მეოთხე მუხლმა, სადაც ჩაწერილია, რომ **„განხილულ იქნეს საკითხი სპორტის ხამხედრო გამოყენებითი და ტექნიკური სახეობებისათვის გზეთ „ლელოს“ ყოველკვირეული დამატების გამოშვების შესახებ“.** ამ საკითხის გადაჭრა დავალებული აქვს საქართველოს სპორტსახკომს და დოსაააფის ცენტრალურ კომიტეტს.

მე, როგორც ფეხბურთის გულშემატკივარს, მაქვს წინადადება: პროექტში ჩაიწეროს აგრეთვე **ყოველკვირეული საფეხბურთო დამატების გამოცემის შესახებ.** ყველამ იცის, რომ ასეთი გამოცემა ფეხბურთის გულშემატკივართა დიდი ხნის ოცნებაა. საფეხბურთო დამატება გამოვიდეს თუნდაც თვითანაზღაურებაზე, ასეთ გაზეთს მკითხველი მუდამ ეყოლება და დიდი ტირაჟითაც გასაღდება.

იმედია, ჩემს შენიშვნას, რომელსაც ალბათ ყველა ფეხბურთის გულშემატკივარი დაუჭერს მხარს, გაითვალისწინებთ.

ნოდარ გელაშვილი,
თბილისი.

ელვა-ინფორმაცია

ეს სასიამოვნო ცნობა წუხელ მივიღეთ მოსკოვიდან. 1977-1978 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა საფეხბურთო ტურნირში ალექსანდრე გრანინის პრიზზე უძლიერესის სახელი მოიპოვეს თბილისის 85-ე სკოლის ფეხბურთელებმა. ჩვენმა გუნდმა ფინალში ხვლია უკრაინის ქ. სუმის წარმომადგენლებს — 2:0. მეხამე ხაპრიზო ადგილზე გასვლის საუკეთესო შანსი ჰქონდათ სოხუმის დინამოელებს. გადამწყვეტ მატჩში სოხუმელებს შეჯიბრების მასპინძლებმა — მოსკოვის საბჭოთა რაიონის ფეხბურთელებმა მხოლოდ პენალტების სერიაში აჯობეს.

წოდების მინიჭება

საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

სინქრონულ ცურვაში — ნინო მაისურაძეს (თბილისი, „შევარდენი“),

ტყვიის სროლაში — დიმიტრი გევორქოვს (თბილისი, „დინამო“), გიორგი ნატრიაშვილს (თბილისი, ასკ);

სასტენდო სროლაში — სერგეი ანდრეევს (თბილისი, ასკ).

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის კონფერენციაზე

ჩვენმა მკითხველებმა, საფეხბურთო საზოგადოებრიობამ კარგად იცის, რომ ბოლო ხანს სერიოზული უთანხმოებანი შეიქმნა საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციას, სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოსა და საფეხბურთო ლიგების კავშირის ხელმძღვანელობას შორის. ერთი მმართველი საფეხბურთო ორგანო ღებულობს ერთ გადაწყვეტილებას, მეორე — სულ სხვას, თანაც პირველიდან მკვეთრად განსხვავებულს და საწინააღმდეგოს. არაა ერთიანი შეხედულება საბჭოთა ფეხბურთის მართვის, განვითარებისა და ხელმძღვანელობის საქმეში. ამაზე ბოლო ხანებში ბევრი დაიწერა, პრესაში გამოდიან ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტები, მიმომხილველები, მაგრამ საერთო ენა მათაც ვერ გამონახეს ერთმანეთში, პრობლემები გადაუჭრელი დარჩა.

ყველა მოუთმენლად მოელოდა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელ კონფერენციას, რომელიც საყოველთაო ინტერესს იწვევს. მან უნდა გადაწყვიტოს ჩვენი ფეხბურთის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

საკდესმა მოკლე ცნობა მოგვაწოდა კონფერენციის მუშაობის შესახებ: სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია საკუთარ თავზე იღებს ამ თამაშის განვითარების მთელ პასუხისმგებლობას, საკავშირო სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველო კი ხელმძღვანელობას გაუწევს ფეხბურთის უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებებს და მოვლენებს. ამის შესახებ ითქვა დამფუძნებელი კონფერენციის პირველ დღეს, 9 იანვარს.

პირველ დღესვე მიიღეს წესდება, რომლის წინააღმდეგ გამოვიდა 1 დელეგატი, 11-მა კი თავი შეიკავა.

გუშინ ჩატარდა არჩევნები. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩიეს ფიფა-ს ვიცე-პრეზიდენტი, სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველოს უფროსი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. კოლოსკოვი. პირველი მოადგილე გახდა სპორტის დამსახურებული ოსტატი და დამსახურებული მწვრთნელი ნ. ხიმონიანი, მოადგილეებად აირჩიეს სპორტის დამსახურებული ოსტატი და დამსახურებული მწვრთნელი კ. ბეხკოვი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. ნირკოვი, სპორტის ოსტატი რსფსრ-ის დამსახურებული მწვრთნელი ა. ტუკმანოვი და პროფკავშირთა საკავშირო სპორტსაზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ვ. პოდგორნოვი. პასუხისმგებელი მდივანია სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. პარომონოვი. აირჩიეს აგრეთვე აღმასკომის 48 წევრი და 15 თავმჯდომარე ფედერაციაში შემავალი კომიტეტებისა.



წლევანდელი სპორტული ხეზონი მაგიდის ჩოგბურთელებმა თბილისში გამართული ახპარეზობით გახსნეს. საქართველოს პირველობაზე თავი მოიყარეს 10-16 წლის უძლიერესმა სპორტსმენებმა. ხელოვნზე სწორედ ამ შეჯიბრების მომენტია აღბეჭდილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

საქართველოს თასის გათამაშება მძლეოსნობაში

მომავლის ანგარიშში

ეს ტრადიციული ტურნირი სახელწოდების მიხედვით თითქოსდა დამოუკიდებელი ასპარეზობაა, მაგრამ მძლეოსნობაში ჩახედულმა ხალხმა იცის, რომ იგი საკავშირო თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპია, შეჯიბრების წესებიც, ცხადია, ამის „გათვალისწინებით არის შემუშავებული. ამავე მიზეზით ტურნირზე ჩვენთან არასდროს ყოფილა აეიოტაკი — მუდამ წინასწარ არის ცნობილი, რომ თბილისის გუნდი იოლად გაიმარჯვებს და მოიპოვებს საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალის საგზურს. ამის გამო არც სხვები, მისი მეტოქეები, იკლავენ თავს და საქართველოს თასის გათამაშება საწვრთნელ შეჯიბრებად იქცევა ხოლმე.

ასე იყო ამ ორიოდე დღის წინ გამართული რესპუბლიკის თასის მორიგ გათამაშებაშიც, სადაც პირველი, მეორე და მესამე ადგილები თბილისის გუნდებმა (!) დაიკავეს. შემდეგ მოდიან ქუთაისის, აჭარისა და აფხაზეთის მძლეოსნები. ცალკეული შედეგებიდან აღსანიშნავია იგორ ივანოვის გამოსვლა თარჯრბენში 60 მეტრზე — 7,9. ელეონორა ურუსოვამ ბირთვი 15,63 მეტრზე ჭკრა, ხოლო ქუთაისელმა ვასილ მახარაძემ სიგრძეზე ხტომაში 699 სმ აჩვენა. აქ ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგიის წევრებმა დიდი მადლობა გამოთქვეს მძლეოსნური მანეჟის დირექციის მისამართით. „როგორც იქნა, ვეღირსეთ საკუთარ სამდივნო ოთახს, — გვითხრეს მათ, — სულ ახლახან მოეწყო საგანგებო აივანი მსაჯი-ინფორმატორისათვის და სხვა. ყველაფერი ეს ძალიან გვიადვილებს მუშაობას...“

საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში, სადაც ეს ასპარეზობა მიმდინარეობდა, ბევრი ჩვენი წამყვანი მძლეოსანი სარბიელზე არ გამოსულა. ამიტომ ნაკრების წევრთა მომზადების დღევანდელი დონეც ვერ გამოჩნდა. თუმცა მომავალ შაბათ-კვირას იქ უკვე ზამთრის რესპუბლიკური ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს და ეს საკითხიც მაშინ გაირკვევა.

— რაიმე სასიკეთო ცვლილება თუ ეტყობა გუნდს? — ვკითხეთ საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების უფროს მწვრთნელს ევგენი გაგუას, — გაუმჯობესდა მწვრთნელთა მუშაობის ხარისხი ბოლო პერიოდში?

— ჩვენი მიზანი სპეციალისტთა სიტყვიერი ქება ან გაკიცვა კი არ არის, არამედ ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც ჩვენზე უკეთესად გააკეთებს ამ საქმეს, — გვიპასუხა მან. — ამას ემსახურება ის რეიტინგიც, რომელიც გაზეთ „ლელოში“ გამოქვეყნდა. ყველა დამსახურება, ყველა მიღწევა უნდა აღინუსხოს ქულათა სისტემითაც, სადაც ყველა თვალნათლივ დაინახავს საკუთარ თავს, საკუთარი გარჯის შედეგს (და უუნარობასაც). ორგანიზაციისა თუ რეგიონის ხელმძღვანელებიც უკვე ზუსტად შეაფასებენ რა სპეციალისტები ჰყავთ, მოწოსავე თუ მაჩანჩალა. მძლეოსნობის სპეციფიკა ბევრმა არ იცის, ამიტომ მძლეოსანთა ტუქსვა და ქებაც კი ხშირად არაობიექტური იყო.

რაც შეეხება შედეგებს, მოდით, ამაზე ცოტა გვიან, გარკვეული პერიოდის შემდეგ ვილაპარაკოთ...

ზემოხსენებული რეიტინგის ობიექტურობაზე დავა, ვფიქრობთ, სპეციალისტებს უნდა მივანდოთ. მეორე მხრივ, უკვე შეიძლება ითქვას, რომ მან ბევრი რამ გამოაჩინა, თუმცა ქუთაისელთა დაყენება, ვთქვათ, გარდაბნისა თუ საგარეჯოს მძლეოსანთა უკან, ერთი შეხედვით მაინც, საკვირველი იყო...

— კარგია, რომ „ტორპედოს“ სტადიონზე თანამედროვე საფარი დაგვიგეს, — გვითხრა ერთმა ქუთაისელმა სპეციალისტმა, — ახლა ცალკე გასახდელს გვპირდებიან. ეგ არის, ზამთარში გვიჭირს, ერთადერთი მანეჟი გვქონდა და ისიც ისეთ დღეშია, შიგ მხოლოდ ხელწერილით შეგიშვებენ — თუ თავზე რამე დაგეცა, სხვა რომ არ დაადანაშაულო...

ის მანეჟი ცოტა ძველი ყოფილა... 1906 წელს (!) აშენებული. თავის დროზე (რამდენიმე წლის წინ) რკინიგზის რომელიღაც სათავსად უნდოდათ მისი გადაკეთება, მაგრამ „ნიკოლოზის დროს“ იატაკზე დაგებული ბეტონი, იმდენად მყარი გამოდგა, ვერაფერი დაიკლეს. მერელა გადაწყვიტეს, ამისგან მანეჟი თუ გამოვაო და ზედ სარბენი ბილიკი დააგეს.

ახლა ეს დარბაზიც გამოვიდა მწყობრიდან. ახალი?... იქნებ ახლის მოწყობასაც ეშველოს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ ქუთაისში მძლეოსნებს უზარმაზარი შენობა გადასცა, სადაც მანეჟიც გაიმართება და ბევრი სხვა საჭირო სათავსიც მოეწყობა. ქუთაისში განზრახულია დიდი, „ნამდვილი“ მანეჟის აგებაც.

კაცი იფიქრებს, ამ გაჭირვებულ დროს (თუნდაც საბინაო და სხვა სახის მშენებლობაში) რა დიდ დარბაზებზეა ლაპარაკი, მაგრამ ეს არ იქნება სწორი. დიდი, ნათელი დარბაზი გარდა იმისა რომ სპორტსმენებს მოემსახურება, მომავალი თაობის აღზრდაშიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. ალბათ, ესაა ერთადერთი საშუალება გარეთ გამოიყვანო ზამთრობით ბინაში ჩაკეტილი ბავშვები, ჩაატარო მათთვის სახალისო შეჯიბრებები და სხვა. ამ ტვირთს ვიწრო და მოუწყობელ სასკოლო დარბაზებს ვერ დავაკისრებთ.

ასეთი ბაზების მშენებლობაში დაბანდებული კაპიტალი თითქოს უჩინარ, მაგრამ უდიდეს დივიდენდებს იძლევა. ამიტომ იმედი გვაქვს, რომ ამ საქმეს, სადაც კი ეს შესაძლებელია, დიდი გულისყურით მოეკიდებიან.

ბორბი ოსესაძე.

ხელშეწყობის ნაცვლად, შევიწროება?

ამ სენით უმეტესად შეპყრობილნი არიან გარაჟმანები. ეს ადამიანები გააფთრებით იბრძვიან ორი გოჯი მიწის შემოსაღობად, გზიდან იცილებენ ყველას, ვინც ამ საქმეში წინ აღუდგებათ. სხვათა შორის, მეტწილად სპორტული მოედნები აქვთ მიზანში ამოღებული. ვინ მოთვლის, რამდენი კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა შეუწიროვს გარაჟებს და ნორჩები უმოელდნოდ დარჩენილან იმის გამო, რომ ვილაც ძიას საქმის „ჩაწყობა“ შეუძლია „ზემოთ“, იღებს გარაჟის მშენებლობის ნებართვას.

ხომ გაგიგონიათ, ავი ზნე გადამდებიაო. ჰოდა, იმავე სენით შეპყრობილან მეგაღობის მოყვარულ მიმდევარნიც, რომლებიც არად დაგიდევენ ქალაქგარე ტურისტულ ზონებსა თუ დასვენების ადგილებს და კლონდაიკელი ოქროს მაძიებლების ყინით იტაცებენ ამ ნაკვეთებს, რათა ბეტონის ღობე შემოავლონ და შიგ „მეგაღის“ შუასაუკუნოვანი ციხესიმაგრე ჩადგან...

11 წელია, რაც ჩვენში მისდევენ საცხენოსნო ტურიზმს, რომლის თაოსანი თბილისის იპოდრომი გახლავთ. უნდა ითქვას, რომ იპოდრომის ხელმძღვანელობა დიდი მონდომებით მოეკიდა ამ კეთილშობილურ საქმეს და არაფერი დაიშურა მოგზაურობის ამ სახეობის მოყვარულთათვის. გაჩნდა პირველი მარშრუტები ღამისთევით: თბილისი — ბეთანია — თბილისი, თბილისი — ქვათახევი, თბილისი — წვერო. ცხენოსნები აწყობდნენ ლაშქრობებს მთათუშეთში, ხევსურეთში, ბაკურიანში და ა. შ. ტურისტებს განსაკუთრებით იზიდავდა მარშრუტი თბილისი—კვესეთი, სადაც მათ შესანიშნავად აღჭურვილი ბაზა მასპინძლობდა ბეთანიის მახლობლად. აქ გამოყოფილი იყო 6 ჰექტარი მიწის ნაკვეთი 20 ცხენმხედრის ღამის სათევი კომპლექსისთვის, რომელიც ემსახურებოდა ჩვენი რესპუბლიკისა და ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ტურისტებს. ბოლო წლებში საცხენოსნო ტურიზმის საქმე რამდენადმე გაუარესდა — ჯერ იგი გადაეცა კოოპერატივ „მგლის მუხლს“, რომელმაც თავი ვერ მოაბა ცხენების მოვლას და საცხენოსნო ტურიზმი ისევ იპოდრომს დაუქვემდებარეს. მისი აღორძინების პერსპექტივაც გამოიხატა, მაგრამ სწორედ ამ დროს მოწმენდილ ცაზე მეხივით გავარდა ცნობა, რომ კვესეთის ბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე (10-15 მ ნიშნულით დაბლა ტეფტონიკურ საფეხურზე) გაბოყვეს საბაღე ნაკვეთები. ნაკვეთებში ჩასასვლელმა გზამ შუაზე უნდა გაკვეთოს საცხენოსნო ბაზის ტერიტორია, ე. ი. ცხენების სადოვარი მინდორი, ეს გზა არც გენგეგმით იყო გათვალისწინებული და იგი არავის შეუთანხმებია იპოდრომთან. თბილისი — ბეთანია — კვესეთი — თბილისი, დამტკიცებულია პროფსაბჭოს მიერ, როგორც საკავშირო მარშრუტი და 1990 წლისათვის მთელი კავშირის მასშტაბით გაყიდულია საგზურები, რის გამოც თბილისის სახელმწიფო იპოდრომი დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. საცხენოსნო ტურიზმის მარშრუტი მთლიანად გადაიკეტა და ამით საცხენოსნო ტურიზმის მარშრუტიც გაუქმდა. ზემო კვესეთი მთლიანად მავთულის ღობეშია მოქცეული, სახნავ-სათესი მიწა, სადაც კოკეთის მეცხოველეობის მეურნეობას 250 ტონა მარცვლეული და თივა მოჰყავდა, საბაღე ნაკვეთებად დაირიგეს და სამსართულიან და ცოტა მეტი სიმაღლის ბეტონის „ბუნკერებს“ აშენებენ დასასვენებლად. კოკეთის მეურნეობა უქმდება, მსხვილფეხა საქონელი ახალციხისა და ახალქალაქის რაიონებს გადაეცა. ამ ორი თვის წინ მთავრობის კომისიის თავმჯდომარემ თ. ბოკერიამ საქართველოს ტელევიზიით გვაცნობა, თბილისის შემოგარენში, ბეთანიისა და კვესეთის მიდამოებში ყოველგვარი მშენებლობა დროებით შეწყვეტილიაო, მაგრამ ამ განცხადებამ უკურეაქცია გამოიწვია, იმ დღიდანვე „სტახანოვური“ სიჩქარით დაიწყეს მშენებლობა. რატომღაც კაცი არ მოინახა მთავრობიდან, რომ გაეჩერებინა მშენებლობა, რომელიც ოლქიდან „გამოცდილება“ ისმის კითხვა—ეს - ფული აქვს მთავრობას გადაწყვეტილებას, თუ იგი არ სრულდება?

საცხენოსნო ტურიზმი ჩვენს რესპუბლიკაში ისტორიულ და გეოგრაფიულ შემეცნებით ხასიათს ატარებს, ამასთან, ბევრი სხვადასხვა ავადმყოფობის განმკურნავიცაა და არავის აქვს უფლება, თავისი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ხელი შეუშალოს საცხენოსნო ტურიზმის განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში, აითსობით ჩვენს მოქალაქეს მოუსპოს ჯანმრთელობისა და დასვენების კერა.

ზურაბ ვაშაკიძე,
თბილისის სახელმწიფო იპოდრომთან არსებული საცხენოსნო ტურიზმის განყოფილების უფროსი, სპორტის ოსტატი,

შუანგ ჭიჭინაძე,
ჩვ. სპეც. კორ.

ასეთია სპორტული ცხოვრება

ფორვარდი

მახსოვს, როგორ ვდელავდით იმ დღეს. დრო რომ მოგეკლა, მიხასთან ერთად ბაზარში წავედით, რამის საყიდლად კი არა, ისე — სანახავად.

მიუვარს ჩვენი სამხრეთის ბაზრები, სადაც აზერბაიჯანელებს მოაქვთ ოქროსფერი, მზეზე რომ ბრწყინავს გარგალი, ძოწივით წითელი ბროწეული და სურნელოვანი ნესვი. აქვე შემოგთავაზებენ ბროლივით ნიგოზს. მაგრამ ყველაზე სასიამოვნო მჟავეულობის დამათრობელი სუნია. სწორედ ბაზრის იმ ნაწილში გავჩერდით და დამწნილებული მწვანე წიწაკა, ქინძისა და ნივრის შიგთავსიანი პამიდორი და წითელი გურული კომბოსტო დავაჭაშნიკეთ. ჩავუარეთ ფრინველითა და გოჭებით მოვაჭრეთა რიგებს. ყაფაზებზე ასობით მიჯრით ეწყო გასუფთავებული ბაზრის ბეჭდიანი ვარდისფერკანიანი გოჭები, მაგრამ ისინი რატომღაც კარგად ვერ საღდებოდა. რამდენიმე რიგი კი ვეებერთელა, ყვითელი ქონით სავსე ინდაურებსა და ქათმებს ეკავა. ირგვლივ ყველა ყვიროდა, ღრიალებდა და ისე ვაჭრობდა.

ყველაზე მშვიდობიანი ღვინით მოვაჭრეთა რიგი გახლდათ. კახელები მოკალათებულიყვნენ დაბალ, განიერ კასრთან, რომელზედაც მწვანილი, გრძელი, სურნელოვანი შოთები, ქარვისებრი გუდის ყველი ეწყო და მზით სავსე თხელ ღვინოს შეექცეოდნენ.

ქუჩაში გამოვედით და მიხა იქვე შეჩერდა. კარტოფილით სავსე ტომრებზე ზორბა ყმაწვილი იჯდა და მუხლებში მოექცია ღიაყავიფერი ბატკანი, რომელიც ნეკს უწოვდა. ჭაბუკს ღიმილი დასთამაშებდა და თან ბატკანს სარქეებთან ხელს უსვამდა.

— რა ღირს? — ჰკითხა მიხამ.

— ათი, — უპასუხა ჭაბუკმა.

მიხამ დაუყოვნებლივ დაადრო ფული საფულედან, გადაუხადა და პარა ყავისფერი არსება ხელში აიყვანა.

— რად გინდა? — ვკითხე მიხას.

— მომეწონა, — მიპასუხა მან.

იმ დღეს მატჩი მოვიგეთ და ბაზაზე გვიან დავბრუნდით. მშიერი ბატკანი საცოდავად ბღაოდა და ვერაფრით ვერ დავიძინეთ. მიხამ ბატკანი გვერდით მოიწვინა და პირში ნეკი ჩაუდო. ბატკანი გაჩუმდა და ასე იძინეს მათ მთელი ღამე.

დილით კი მაწოვარათი რძე მივეცით და წვრთნაზე წასვლა რომ დავაპირეთ, ბატკანი უკან გამოგვეკიდა, რასაც ბიჭების დიდი სიხარული და მხიარულება მოჰყვა. ვარჯიშის დროს ბატკანი მშვიდად ძოვდა ბალახს. მაგრამ როგორც კი მიხას გამოეკიდებოდა, ბიჭები სიცილით იხოცებოდნენ. მეორე დილით კი ჩვენი ბატკანი ჩვენთან ერთად მწყობრში ჩადგა და გუნდთან ერთად გაირბინა მოთელვით სამივე წრე. ყველაზე სასაცილო ის იყო, როცა იგი ხან გაუსწრებდა, ხან ჩამორჩებოდა შიხას.

მთელი სეზონი ჩვენთან ბაზაზე გაატარა. და ყოველთვის თან დაგვყავდა თამაშებზე. სეზონიც იღბლიანი გამოდგა, ბიჭები კარგად თამაშობდნენ, სეზონის მიწურულს კი ჩვენი პატარა ბატკანი კარგა მოზრდილ ჭედილად იქცა, რომელთანაც ყველაფერზე შეიძლებოდა ლაპარაკი, და იგი საუკეთესო მოსაუბრე გახლდათ, იმიტომ რომ თავად არაფერს ამბობდა, ყურადღებით კი გვისმენდა და მოწყენილი გვიმზერდა თვისი კეთილი თვალებით.

მაგრამ სეზონი დამთავრდა და ქალაქში, შინ უნდა დავბრუნებულიყავით, ისიც უნდა გადაგვწყვიტა — როგორ მოვქცეოდით ჩვენს მეგობარს.

გადავწყვიტეთ სოფელში წაგვყვანა. მიხამ მანქანა გარეცხა, კარი გამოაღო, მანქანის რბილ სავარძელს მძლავრად დაჰკრა ხელი და ჩვენი ფორვარდი, როგორც მას ბიჭებმა შეარქვეს, ზედ დასკუპდა. იგი ყოველთვის, მიხას გვერდით წინა სავარძელში მჯზავრობდა, რაც მიხას თაყვანისმცემელ ქალიშვილს არ მოსწონდა.

ქალაქიდან გამოსულები, მალე იქვე ქვევით ცხვრის პატარა ფარას წავაწყდით. მანქანა გავაჩერეთ, გარეთ გამოვედით და ქვემოთკენ დავიძარით, მაგრამ ფორვარდი ამჯერად ადგილიდან არ დაძრულა. მიხამ მოხუც სომპათიურ მწყემსს აუხსნა რაშიც იყო საქმე, ოცდახუთიანი მისცა, რომ კარგად მოევლო ჩვენი ფორვარდისათვის და უთხრა, რომ გზაფხულზე ისევ უკან წავიყვანდით ცხვარს. მწყემსი ჩვენთან ერთად გზაზე ამოვიდა.

— მაგრად ჩასკიდე, — უთხრა მიხამ მანქანაში ჩაჯდომისას.

მან აქსელერატორს დააჭირა, მანქანა წინ გავარდა, მაგრამ იქვე იძულებულნი გავხდით გავჩერებულიყავით. ფორვარდმა ძირს დასცა მწყემსი და გამოგვეკიდა. მიხამ იგი ფარასთან მიიყვანა და მაგრად მიაბა ხეს. ფორვარდი ნაღვლიანი და შეცბუნებული თვალებით შესცქეროდა მას. უცნაური, არაჩვეულებრივი რამ ეყო ჩვენი ჭედილა.

იმავე დღეს ქალაქში დავბრუნდით. ვითამაშეთ ჩვენი ბოლო მატჩი და დავმარცხდით. ერთმანეთს თვალს ვერ ვუსწორებდით, და არც ერთ ჩვენგანს სიტყვა არ დასცდენია ცხვარზე.

როსტომ ჩაჩავა.

ქ. თბილისი.

„პრავდა“ 5. I. 1990 წ.

ინფორმაცია

ხიდნეი. ახალი სამხრეთ უელსის (ავსტრალია) შტატის ჩოგბურთელთა ჩემპიონატში ნატალია ზვეზდინამ უკვე ორი შეხვედრა მოიგო. ჯერ იაპონელ აკიკო კიჯიმურას ჯობა (6.3, 6:1), მერე კი იტალიელი ლაურა გოლარსე დაამარცხა (6:4, 6:3). წარუმატებლად გამოვიდა ლარისა სავჩენკო—ფრანგ ქალთან ალართან წაგების შემდეგ (4:6, 5:7) იგი გამოეთიშა გათამაშებას.

სტარტზე დამარცხდა ალექსანდრე ვოლკოვიც, მაგრამ მან შეხვედრა დათმო დასავლეთგერმანელ ბორის ბეკერთან — 3:6, 2:6.

განვიხილავთ რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტულ-ჯამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების კონცეფციის პროექტს

სასკოლო რეფორმაში გავითვალისწინოთ

ყველა მასწავლებელი, განურჩევლად საგნისა, თავს მოვალედ უნდა თვლიდეს, რომ არ შემოიფარგლოს საპროგრამო მასალით, უნდა უარვყოთ მოსაბეზრებელი, სტანდარტული გაკვეთილები. ყველას გვაქვს უფლება შემოქმედებითად ვმართოთ გაკვეთილი და არა სხვისი ცარნახით.

მე, როგორც ფიზკულტურის მასწავლებელს, მიზანშეწონილად მიმაჩნია ფიზკულტურის გაკვეთილზე მუსიკის გამოყენება. დამტკიცებულია, რომ ვარჯიშის დროს მუსიკა ერთგვარი სტიმულატორის როლს თამაშობს. მუსიკა მოვარჯიშეს უვითარებს ემოციას, ხელს უწყობს მოძრაობის განვითარებას, აჩვევს რიტმს. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ყველა სკოლა იყოს რადიოფიცირებული. მაშინ დიდ დასვენებაზე მუსიკის ხმა შეაღწევს კლასებში, დერეფნებში, სპორტდარბაზში, მოსწავლეები შეასრულებენ რიტმულ მოძრაობებს, ამით მათ მოეხსნებათ დაღლილობა და გახალისებულნი შევლენ გაკვეთილზე. ამის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ ვის ახსოვს დიდი დასვენება ან სკოლის რადიოფიცირება. როცა ეს პრობლემა გადაწყდება, მაშინ, ალბათ, აჯობებს ეროვნული რიტმული მუსიკის შექმნაც.

მეორე პრობლემა, რომელიც ყველას გვაწუხებს, ეს სპორტული ფორმის საკითხია. აბა, რა მტკიცება უნდა იმას, რომ ფიზკულტურის გაკვეთილზე მოსწავლე სპორტულ ფორმაში გამოწყობილი უნდა იყოს, მაგრამ ბევრგან ესეც დავიწყეთ. 30 წლის დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ კლასი, სადაც ვიცავდით და ვიცავთ ერთნაირი სპორტული ფორმის ტარების წესს, იქ პასუხისმგებლობაც მაღალია და დისციპლინაც, მასწავლებელიც ხალისით ატარებს გაკვეთილს. ხოლო იქ, სადაც ყურადღება მოვადუნეთ, ნება მივეცით ვისაც რა უნდა ის ჩაიცვას, დისციპლინა ძალზე დაქვეითდა. გაკვეთილების ხარისხზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. სამაგიეროდ, დაიწყო შეჯიბრება ვინ უკეთეს, ძვირადღირებულ სპორტულ ფორმას გამოამზეურებს. გაკვეთილზე ერთნი რომ „პუმაში“ და „ადიდასში“ არიან გამოწყობილნი, მეორე ნაწილს უბრალო, ჩვენებური სპორტული ფორმის შეძენა უჭირს. იგი ფსიქოლოგიურად და მორალურადაც იჩაგრება. ამიტომ თავი უნდა დავანებოთ ჩვენი შვილების დეფიციტურ და ძვირადღირებულ სპორტულ ფორმაში გამოწყობას მანამ, სანამ ყველას არ ექნება ამის შესაძლებლობა.

როგორც ფიზკულტურის მასწავლებელს, მაღელვებს ფიზკულტურაში ჯგუფების გაყოფის პრობლემაც. გაყოფა საჭიროდ მიმაჩნია I-VIII კლასებში ან სამჯერადიანი ფიზკულტურის გაკვეთილების შემოღება, რადგან ძირთადად ამ ასაკის ბავშვებში ხდება მოზარდების ფიზიკური ჩამოყალიბება. როცა ეს საკითხიც მოგვარდება, მერე აღარ დავიწყებთ დათვლას რამდენ მოზარდს აქვს ხერხემალი გამრუდებული.

ეს პრობლემაც არაა ახალი, მაგრამ...

როცა ამაზე ვწერ, როცა მოუგვარებელ პრობლემებზე ვფიქრობ, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტს ჩვენთან არავითარი ავტორიტეტი არა აქვს. აბა, სხვა რითი აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩვენი დარგის სპეციალისტს დაწინაურება არ ღირსებია, თუნდაც საშუალო სკოლის დირექტორად. ჩვენ ამაშიც უნდა მივბაძოთ ბალტიისპირეთს, სადაც სკოლის დირექტორებად, სასწავლო ნაწილის გამგეებად ხშირად ნიშნავენ ფიზკულტურის მასწავლებელს. ასეთ სკოლებში აღზრდის საკითხი და დისციპლინა სხვებზე უარესი სრულიადაც არ არის.

იქნებ ფიზკულტურის მასწავლებლის როლი და ავტორიტეტი აამაღლოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე ამ საგანში მომთხოვნელობის გაძლიერებამ.

დიახ, დღევანდელ ეპოქას არ სჭირდება მარტო გონებრივად განვითარებული ადამიანი. მაგრამ სად გავჯანსაღდეთ? ეს საქმეც თანდათან მხოლოდ შეძლებულთა პრივილეგია ხდება — სულ უფრო მრავლდება სწავლის, სპორტის, ჯანმრთელობის ფასიანი კოოპერატივები. აღმზრდელი, რომელიც ეძებს გამოსავალს ფულში და არა სულში, ის არასოდეს გამოდგება აღმზრდელად, მაგრამ მათაც რა ქნან ამ გაჭირვებულ ცხოვრებაში? სულ სხვა საკითხია, რომ მათ უნდა მიეცეთ იმდენი ხელფასი, გამოსავალს ფულში რომ არ ეძებდნენ.

ეთერ ხახუბია,
თბილისის 150-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი, სახალხო განათლების წარჩინებული, სპორტის ოსტატი, საქართველოს განათლების სამინისტროს საგნობრივი მეთოდური საბჭოს წევრი.

„გამბიტის“ ახალი თაოსნობა

სულ რაღაც ერთი წელია, რაც სოხუმში შეიქმნა საჭადრაკო კოოპერატივი „გამბიტი“, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვან და თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. კოოპერატივის ინტენსიური მოღვაწეობის კიდევ ერთი დასტური გახლავთ მოზარდთა (1974-1980 წლებში დაბადებული) საერთაშორისო ღია საჭადრაკო ტურნირი — „შავი ზღვა-90“, რომელიც გუდაუთაში დაიწყო. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ვენის (ავსტრია), სტრასბურგის (საფრანგეთი), ვროცლავის (პოლონეთი), პროვინცია დონგ ტხაპოს (ვიეტნამი), აგრეთვე ნალჩიკის, აფხაზეთის, კოოპერატივ „გამბიტისა“ და გუდაუთის რაიონის ნაკრები კოლექტივები. შეჯიბრება გუნდურია (4-4 მონაწილე) და ტარდება წრიული სისტემით.

ორი ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ვიეტნამელი მოჭადრაკეები — 8 ქულა. მეორე ადგილზე მიდიან აფხაზეთის (6,5) მესამეზე — „გამბიტის“ (6) გუნდები.

თენგიზ პაჭკორია.
„ლელოს“ კორ.

„სპორტპროგნოზი“, მესამე ტირაჟის პროგრამა (19-21 იანვარი)
სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)

		პროგნოზი		
1. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი)	19.I	20	40	40
2. „ტორპედო“ (იაროსლავლი) — „ტორპედო“ (გორკი)	19.I	50	30	20
3. „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მინსკი)	21.I	80	10	10
4. „დინამო“ (რიგა) — „ზიმიკი“ (ვოსკრესენსკი)	21.I	10	30	60
იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში				
5. „ბარი“ (ბარი) — „ბოლონია“ (ბოლონია)	21.I	10	70	20
6. „გენუა“ (გენუა) — „კრემონეზე“ (კრემონა)	21.I	70	20	10
7. „ლაციო“ (რომი) — „ფიორენტინა“ (ფლორენცია)	21.I	10	60	30
8. „ნაპოლი“ (ნეაპოლი) — „ვერონა“ (ვერონა)	21.I	70	20	10
9. „ასკოლი“ (ასკოლი) — „იუვენტუსი“ (ტურინი)	21.I	10	30	60
10. „ჩეზენა“ (ჩეზენა) — „ლეჩე“ (ლეჩე)	21.I	20	70	10
11. „უდინეზე“ (უდინე) — „მილანი“ (მილანი)	21.I	10	20	70
12. „ტალანტა“ (ბერგამო) — „რომა“ (რომი)	21.I	30	50	20
13. „ინტერი“ (მილანი) — „სამპდორია“ (გენუა)	21.I	50	40	10

„ივერია“ პირველია

ახალი წლის წინ ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა ქართულ რაგბიში: რაგინდ უცნაურიც იყოს, მხოლოდ ახლა, საქართველოში რაგბის დანერგვის 30 წლისთავზე, შეიქმნა პირველი კლუბი — მოთამაშეთა, მწვრთნელთა, გულშემატკივართა იმგვარი გაერთიანება, მთელს მსოფლიოში რაგბის ორგანიზაციის საფუძველთა-საფუძველი რომაა. პირველი კლუბის ჩამოყალიბებას წინ უძღოდა ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობა. ჯერ კიდევ შარშან, აპრილში, მეცნიერებისა და განათლების მუშაკთა პროფკავშირების თაოსნობით, ოფიციალურად გაფორმდა კლუბის შექმნა, მაგრამ, მოგეხსენებათ, მაშინ და მერეც, სათამაშოდ როდი გვქონდა საქმე. მხოლოდ წლის ბოლოს მოხერხდა ერთად მოეყარათ თავი იმათ, ვინც კლუბში უნდა გაერთიანებულიყო: თბილისის 26 კომისრის სახელობის „რაიონნის სკოლების მოსწავლე ვაჟებსა და მათს მშობლებს, აგრეთვე, ახალგაზრდა მწვრთნელებს, რომლებსაც „სარაგბო მოძღვრების“ გასავრცელებლად მოზარდთა წრე აურჩევიათ.

გაიმართა კლუბის გამგეობის არჩევნები. პრეზიდენტად ამ თამაშის დიდი მოამაგე, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდიუმის წევრი გურამ დიდბარიძე დაასახელეს, ვიცე-პრეზიდენტად — იუნესკოს წარმომადგენელი საქართველოში შოთა დონაძე, პასუხისმგებელ მდივნად — ვეტერანი მორაგბე და მსაჯი გოგი გუდაძე.

ბატონ გურამის აზრით, დღესდღეობით სწორედ რაგბი შეძლებს, ქართველი ჭაბუკების სულიერ და ფიზიკურ გაჯანსაღებას, მათ ქუჩის ცუდ გავლენას გამოარიდებს და ნაღდ ქართველ ვაჟკაცებად აქცევს. ამ საშვილიშვილო მიზნის განსახორციელებლად კი, ნებისმიერი დონის საქმიანი კონტაქტების დამყარების გარდა, კლუბის გამგეობა ვახისუბანში საკუთარი სარაგბო სტადიონის აშენებასაც აპირებს.

დღეს ბავშვთა და მოზარდთა რაგბის კლუბ „ივერიაში“ 350 ყმაწვილი და ათამდე მწვრთნელი ირიცხება. კლუბის საქმიანობას გაუძღვება გამოცდილი მწვრთნელი, მრავალი კარგი მორაგბის აღმზრდელი, „ივერიის“ შექმნის თაოსანი ემზარ სულაქვილიძე. მისი ხელმძღვანელობთ კლუბში გაერთიანებულ მოზარდ მორაგბეებს არაერთხელ უსახელებიათ თავი რესპუბლიკურ თუ საკავშირო შეჯიბრებებში. ამიტომაც ვიმედოვნებთ, რომ კლუბის ჩამოყალიბება, მისი ოფიციალური გაფორმება კიდევ უფრო გაამრავლებს ისნელი, ვახისუბნელი და ვარკეთილელი ბიჭების წარმატებას.

ტელეტაიპი - მკითხველი



გრძელდება პოპულარული ავტორალი პარიზი — დაკარი. თერთმეტი ეტაპის შემდეგ რბოლას ლიდერობს ფინელი არი ვატანენი, რომელიც თავის უახლოეს მეტოქეს ფრანგ ფილიპ ვამბერგს 1 საათს, 54 წუთსა და 7 წამს უგებს. მესამე ადგილზეა შვედი ბიორნ ვალდენგაარდი, რომელიც ფრანგ ავტომობილისტს 4 წუთით ჩამორჩება.

მოტოციკლისტთა შეჯიბრებაში დაწინაურდა იტალიელი ედე ირიოლი (მოტოციკლის მარკა „კაჯივე“).

მომდევნო, მეთორმეტე ეტაპი გაიმართება მალის ტერიტორიაზე. მისი სიგრძეა 638 კილომეტრი.

შეგახსენებთ, რომ ვატანენს რალი პარიზი — დაკარი უკვე ორჯერ აქვს მოგებული.

შორი გზა ჩინეთიდან საქართველოდან

ხულ ცოტა ხნის წინ უძველესი კულტურის მქონე ეს ქვეყანა დანარჩენი მსოფლიოსაგან იდეოლოგიის „ჩინეთის დიდი კედლით“ საიმედოდ იყო იზოლირებული. მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრეს თუ ჰქონდა ნამდვილი წარმოდგენა ჩინეთის ოდინდელ და ახლანდელ სულიერ სიმდიდრეზე, სიდიადეზე.

სოციალურმა გარდაქმნებმა ჩინეთში (ზოგი რამ ჩვენშიაც) ბევრი რამ შეცვალა. ჩინეთი აქტიურად ჩაება საერთაშორისო ცხოვრებაში და დაანახვა დანარჩენ მსოფლიოს, თუ რა შეუძლია წინაპართა რწმენისა და ტრადიციების ერთგულ ერს — თუნდაც ისეთი ძლიერი პოლიტიკური და სოციალური ძვრების შემდეგ, უკანასკნელ ათწლეულებში რომ ხდებოდა იქ.

ჩინეთიდან წამოსულმა ინფორმაციამ გააოცა მსოფლიო: გაირკვა, რომ მას ჰქონია რა მარტო უმდიდრესი წარსული. არამედ დიდი მომავალიც: ეს ჩანს მის მიღწევებში როგორც ეკონომიკაში, მეცნიერებასა და ხელოვნებაში, ისე სპორტშიც.

აღმოჩნდა აგრეთვე, რომ ყველა ამ სფეროში ჩინეთი შეიძლება მოგვევლინოს არა მარტო როგორც ნიჭიერი მოწაფე — შეგირდი, არამედ როგორც მრავლისმნახველი ბრძენი მასწავლებელი — ოსტატიც. კერძოდ, სპორტის სპეციალისტებისათვის, სხვადასხვა სახეობის ორთაბრძოლის მოყვარულთათვის ცნობილი გახდა, რომ ჩინეთი სამშობლოა უმდიდრესი არსენალის მქონე, უძველეს ჰუმანურ ტრადიციებზე დაფუძნებული შესანიშნავი სახეობებისა.

ოღონდ აქვე, ალბათ საჭიროა აღინიშნოს, რომ ტრადიციულად აღმოსავლეთში და კერძოდ ჩინეთში შინაგანი ჰარმონია როგორც მთელი სამყაროს, ისე ადამიანის ნორმალური არსებობის საფუძველთა საფუძვლადაა აღიარებული. ამიტომ ყველაფერი ის, რაც ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას ემსახურება — იქნება ეს მხატვრობა, პოეზია, კალიგრაფია თუ ფიზიკურ ვარჯიშთა კომპლექსები, — სრული თანასწორუფლებიანობით სარგებლობს,—ხელოვნების რანგშია აყვანილი და ასეც იწოდება. ამრიგად, ალბათ უფრო სწორი იქნება, თუ ზემოთ ჩამოთვლილ „სახეობებს“ საბრძოლო ხელოვნების დარგებს ვუწოდებთ.

თავის მხრივ, ეს დარგები აერთიანებს უამრავ მიმდინარეობებსა და სტილებს, დიდ ოსტატთა სკოლებს.

ტაი-ცი-ციუანი — ერთ-ერთი უძველესთაგანია, თუმცა დღეს, რამდენადაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, შეუძლებელია განისაზღვროს მისი ნამდვილი ასაკი. უცნობია მისი შემქმნელის ვინაობაც, რადგან ტრადიციულად ცოდნა, ხელოვნების საიდუმლოებანი ზეპირსიტყვიერი გზით გადაეცემოდა აბსოლუტური ნდობით აღჭურვილ შეგირდს. საუკუნეების მანძილზე ეს ზეპირსიტყვიერი გადმოცემები თანდათან ლეგენდების საბურველში ეხვეოდა და ამ საბურველს მიღმა იმალებოდა და დავიწყებას ეძლეოდა კონკრეტული დრო, ადგილები, სახელები. რჩებოდა მხოლოდ ხელოვნება... იმ შემთხვევაში კი, როცა ოსტატი იძულებული იყო, თავისი ცოდნა წერილობით გადაეცა შთამომავლობისათვის, იგი ისე შიფრავდა ყველაფერს, რომ საქმეში ჩაუხედავი, ან სულსწრაფი ადამიანისათვის შეუძლებელი ხდებოდა არა მარტო რაიმე კონკრეტული ინფორმაციის მიღება, არამედ იმის გაგებაც კი, თუ საერთოდ რაზე იყო ამ წიგნში საუბარი; ნაწერების გაშიფვრას მხოლოდ ის პიროვნება ახერხებდა, ვინც ამ საქმეს თავისი ცხოვრების მიზნად დაისახავდა...

ტაი-ცი-ციუანის ძირითადი პრინციპი სირბილია, მოდუნება; მისი საფუძველი — დაო...

ნეი-ჰია — „რბილი“ მიმდინარეობა, რომელსაც ასევე „შიგა“ („შინაგან“) მიმდინარეობასაც უწოდებენ, გადმოცემების თანახმად, ძვ. წელთაღრიცხვის I ათასწლეულშივე იყო ცნობილი.

მოგვიანებით ჩამოყალიბდა ტაი-ცი-ციუანის ჩრდილოეთისა და სამხრეთის სკოლები, მაგრამ, სამწუხაროდ, სამხრეთის სკოლებმა რამდენიმე საუკუნის წინ შეწყვიტეს არსებობა და მომდევნო პერიოდში საბრძოლო ხელოვნების ეს დარგი მხოლოდ ჩრდილოეთის პროვინციებში ვითარდებოდა.

მე-19 საუკუნის დასაწყისში იანის საგვარეულოს ძალთახმევით ტაი-ციმ კვლავ ფართო გავრცელება ჰპოვა ჩინეთში და, რამდენადაც მისი პრინციპები მოკლებული იყო ყოველგვარ დოგმატიზმს, სწრაფად დაიწყო სხვადასხვა ვარიანტებისა და სტილების შექმნა.

დღეისათვის ცნობილია ტაი-ცი ციუანის 20-მდე სტილი, რომელთაგან ზოგიერთს უდიდესი ტრადიციები აქვს და მკვეთრად განსხვავდება სხვებისაგან. ასეთებია, მაგალითად: ჩენ-, იან-, უ- და სუნ-სტილები (სუნ-სტილის თავისებურება, მაგალითად, ისაა, რომ მისმა დამაარსებელმა სუნ ლუნ-დანმა (1861-1932) მასში გააერთიანა სინ-ი და ბა-გუა).

მოვალეობის გრძნობა გვკარნახობს, მადლიერებით მოვიგონოთ ის ოსტატები, რომელთა სახელებიც, საბედნიეროდ, შემორჩა ისტორიას.

ქრონოლოგიის მიხედვით პირველი მათგანია სუი სუან-პინი (618-907) — დაოსელი ფილოსოფოსი და საბრძოლო ხელოვნების დიდოსტატი, „რბილი“ (ან „შიდა“) მიმართულების დამაარსებელი. ეს „რბილი“, ანუ „შიდა“ მიმდინარეობა, რომლისგანაც გამოკრისტალდა შემდგომში „ტაი-ცი-ციუანი“, „სინ-ი“ და „ბა-გუა“, ძველი ჩინური საბრძოლო ხელოვნების განვითარების მწვერვალი იყო. თავის ძირითად პრინციპად იგი აღიარებდა სიხისტის (უხეში ფიზიკური ძალის, „გარე“ ძალის) დაძლევას სირბილით, მოქნილობით, დათმობით (შინაგანი, სულიერი სიძლიერით, ცი- (ან ჩი-) ენერგიით). რბილი, ერთმანეთში მდორედ გარდამავალი მოძრაობები განიხილებოდა არა მარტო როგორც საბრძოლო ხელოვნების ჰუშმარტი მწვერვალების მიღწევის ყველაზე სწორი გზა, არამედ როგორც ადამიანის სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღების, ყველანაირი დაავადების პროფილაქტიკის საშუალებაც — იმდენად, რამდენადაც ისინი ემსახურებიან შინაგანი სასიცოცხლო ძალების — ჩი-ენერგიისა და მისი მართვის (გამოყენების) უნარის გამომუშავებას. ამით „რბილი“ ან „შიდა“ მიმდინარეობა დაუპირისპირდა „ხისტ“ ან „გარე“ მიმდინარეობას — გუნ-ფუს, შაო-ლინ-ციუანსა და სხვა სახეობებს, რომლებიც ასევე მუშაობენ ჩი-ენერგიის განვითარებაზე, მაგრამ ძირითად საწყისად მაინც ფიზიკურ სრულყოფას თვლიან.

ჩენ სან-ფენის (1127-1279) შრომებმა ჩვენამდეც მოაღწია. მის სახელთანაა დაკავშირებული ტაი-ცი-ციუანის როგორც ცალკე სისტემის ჩამოყალიბება. გადმოცემის მიხედვით, ყანჩისა და გველის ორთაბრძოლაზე დაკვირვების საფუძველზე მან ჩამოაყალიბა ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც განასხვავებს ტაი-ცის სხვა „შიდა“ სისტემებისაგან. მასვე მიეწერება დამკვიდრება ტერმინისა „ტა-ცი-ციუანი“. „ტაი-ცი“ — „უმაღლესი ზღვარი“, რომელიც არის მშობელი (დედა) ინისა და იანისა — „უდიდესი სიცარიელისა“ და უსახელო, აბსოლუტური გზისა — დაო-სი; „ციუანი“ — ნიშნავს „ხელს“ ან „მუშტს“ და სიმბოლურად აღნიშნავს ვარჯიშის მეთოდს, რომლის მეოხებითაც ჩვენ ვეზიარებით დაოს, შევერწყმით მას.

ვან ცზუნ იუეს (1368-1644), მინის დინასტიის მხედართმთავარს, მიეწერება ტაი-ცი-ციუანის კლასიკური ტექსტის შექმნა.

დღეისათვის ყველაზე ფართო გავრცელება ჰპოვა ჩენ-სტილმა.

...ჩენების საგვარეულო ცნობილი იყო საბრძოლო ხელოვნების ოსტატებით. იგი ფლობდა ტაი-ცი-ციუანსაც. ამ სისტემის პირველი დიდოსტატი გახდა ჩენ ვან-ტინი (1597-1664), რომელიც ჩენ-სტილის ფუძემდებლადაც ითვლება. 200 წლის განმავლობაში ჩენ-სტილის საიდუმლოება ოჯახს გარეთ არ გასულა და იქ მან განვითარების მაღალ დონეს მიაღწია.

იან ლუ-ჩანი (1799-1872) უკვე საბრძოლო ხელოვნების სხვადასხვა დარგების მრავალ სტილს ფლობდა, როცა ჩენების საგვარეულო საიდუმლოების შესახებ შეიტყო. ამ საიდუმლოებას რომ ჩასწვდომოდა, (იგი ჩენებთან არავითარ ნათესაურ კავშირში არ იმყოფებოდა და ამიტომ „პირდაპირი“ გზით ცოდნის მიღების იმედი გადაწურული ჰქონდა), იგი მოსამსახურედ დაუდგა ჩენების ოჯახს და ფარულად ადევნებდა თვალყურს მათ ვარჯიშებს. ჩენ ჩენ-სინს (1771-1853), ჩენების საგვარეულოს მე-14 შთამომავალს, შეუმჩნეველი არ დარჩენია „მოსამსახურის“ თვალთვალი, მაგრამ გამოცდის შემდეგ იმდენად კმაყოფილი დარჩა მისი მიღწევებით, რომ



მეცადინეობას ატარებს ტოიო კობაიაში.

ტატი, „რბილი“ (ან „შიდა“) მიმართულების დამაარსებელი. ეს „რბილი“, ანუ „შიდა“ მიმდინარეობა, რომლისგანაც გამოკრისტალდა შემდგომში „ტაი-ცი-ციუანი“, „სინ-ი“ და „ბა-გუა“, ძველი ჩინური საბრძოლო ხელოვნების განვითარების მწვერვალი იყო. თავის ძირითად პრინციპად იგი აღიარებდა სიხისტის (უხეში ფიზიკური ძალის, „გარე“ ძალის) დაძლევას სირბილით, მოქნილობით, დათმობით (შინაგანი, სულიერი სიძლიერით, ცი- (ან ჩი-) ენერგიით). რბილი, ერთმანეთში მდორედ გარდამავალი მოძრაობები განიხილებოდა არა მარტო როგორც საბრძოლო ხელოვნების ჰუშმარტი მწვერვალების მიღწევის ყველაზე სწორი გზა, არამედ როგორც ადამიანის სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღების, ყველანაირი დაავადების პროფილაქტიკის საშუალებაც — იმდენად, რამდენადაც ისინი ემსახურებიან შინაგანი სასიცოცხლო ძალების — ჩი-ენერგიისა და მისი მართვის (გამოყენების) უნარის გამომუშავებას. ამით „რბილი“ ან „შიდა“ მიმდინარეობა დაუპირისპირდა „ხისტ“ ან „გარე“ მიმდინარეობას — გუნ-ფუს, შაო-ლინ-ციუანსა და სხვა სახეობებს, რომლებიც ასევე მუშაობენ ჩი-ენერგიის განვითარებაზე, მაგრამ ძირითად საწყისად მაინც ფიზიკურ სრულყოფას თვლიან.

ჩენ სან-ფენის (1127-1279) შრომებმა ჩვენამდეც მოაღწია. მის სახელთანაა დაკავშირებული ტაი-ცი-ციუანის როგორც ცალკე სისტემის ჩამოყალიბება. გადმოცემის მიხედვით, ყანჩისა და გველის ორთაბრძოლაზე დაკვირვების საფუძველზე მან ჩამოაყალიბა ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც განასხვავებს ტაი-ცის სხვა „შიდა“ სისტემებისაგან. მასვე მიეწერება დამკვიდრება ტერმინისა „ტა-ცი-ციუანი“. „ტაი-ცი“ — „უმაღლესი ზღვარი“, რომელიც არის მშობელი (დედა) ინისა და იანისა — „უდიდესი სიცარიელისა“ და უსახელო, აბსოლუტური გზისა — დაო-სი; „ციუანი“ — ნიშნავს „ხელს“ ან „მუშტს“ და სიმბოლურად აღნიშნავს ვარჯიშის მეთოდს, რომლის მეოხებითაც ჩვენ ვეზიარებით დაოს, შევერწყმით მას.

ვან ცზუნ იუეს (1368-1644), მინის დინასტიის მხედართმთავარს, მიეწერება ტაი-ცი-ციუანის კლასიკური ტექსტის შექმნა.

დღეისათვის ყველაზე ფართო გავრცელება ჰპოვა ჩენ-სტილმა.

...ჩენების საგვარეულო ცნობილი იყო საბრძოლო ხელოვნების ოსტატებით. იგი ფლობდა ტაი-ცი-ციუანსაც. ამ სისტემის პირველი დიდოსტატი გახდა ჩენ ვან-ტინი (1597-1664), რომელიც ჩენ-სტილის ფუძემდებლადაც ითვლება. 200 წლის განმავლობაში ჩენ-სტილის საიდუმლოება ოჯახს გარეთ არ გასულა და იქ მან განვითარების მაღალ დონეს მიაღწია.

იან ლუ-ჩანი (1799-1872) უკვე საბრძოლო ხელოვნების სხვადასხვა დარგების მრავალ სტილს ფლობდა, როცა ჩენების საგვარეულო საიდუმლოების შესახებ შეიტყო. ამ საიდუმლოებას რომ ჩასწვდომოდა, (იგი ჩენებთან არავითარ ნათესაურ კავშირში არ იმყოფებოდა და ამიტომ „პირდაპირი“ გზით ცოდნის მიღების იმედი გადაწურული ჰქონდა), იგი მოსამსახურედ დაუდგა ჩენების ოჯახს და ფარულად ადევნებდა თვალყურს მათ ვარჯიშებს. ჩენ ჩენ-სინს (1771-1853), ჩენების საგვარეულოს მე-14 შთამომავალს, შეუმჩნეველი არ დარჩენია „მოსამსახურის“ თვალთვალი, მაგრამ გამოცდის შემდეგ იმდენად კმაყოფილი დარჩა მისი მიღწევებით, რომ

ლებლობდა ტაიანზე და ჩინეთში მოგვიანებით კი კანადაში მიიწვიეს, სადაც დღესაც გადასცემს თავის შეგირდებს ტაი-ცის სიბრძნის საიდუმლოებებს.

ცზიან დაო ცზის შეგირდები არიან დღეისათვის მსოფლიოში ცნობილი ოსტატები — ცოლ-ქმარი ტოიო და პეტრა კობაიაშვილი (იხ. სურ. I). ხელოვნებას ისინიც ტაიანზე ეზიარნენ, შემდეგ გადასახლდნენ ქ-ნ პეტრას მშობლიურ ქალაქ მიუნპენში და დააარსეს ტაი-ცი-ციუანის უდიდესი სკოლა, დაწერეს სამი შესანიშნავი წიგნი. მოგვიანებით მათ სკოლები გახსნეს ესპანეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, ჰოლანდიაში, შვეიცარიასა და საბჭოთა კავშირშიც.

ქ-ნი პეტრა და ბ-ნი ტოიო ხშირად ჩამოდიან საბჭოთა კავშირში და უძღვებიან ტაი-ცის მოყვარულთა პატარა ჯგუფს, გვიწილადებენ რა თავიანთ დიდ ცოდნასა და გამოცდილებას, სულიერ ძალას, სიმშვიდესა და სათნოებას.

თავს ბედნიერად ვთვლი, რომ წლების განმავლობაში ახლო ურთიერთობა მჭონდა ამ ოსტატებთან, ვიყავი მათი მოწაფე და დღესაც ასეთად ვთვლი თავს, თუმცა კარგა ხანია მათგან აღიარებული ვარ ოსტატად და მონიჭებული მაქვს პედაგოგიური საქმიანობის უფლება.

ამას წინათ მორიგი სამუშაო ვიზიტით საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა ქ-ნი პეტრა. მასთან შეხვედრაზე მოსკოვში თან წავიყვანე ჩემი რამდენიმე შეგირდიც, რათა საშუალება მისცემოდათ, უშუალოდ შეხებოდნენ დიდ ხელოვნებას, ენახათ და შეეგრძნოთ დახვეწილი სინტიფე და დიდი შინაგანი ენერგია, ტაი-ცი-ციუანის ჩენ მან-ცინის სტილში რომ იმალება.

წლევანდელი სემინარის პროგრამა საკმაოდ დიდი იყო: ჩენ მან-ცინი მოკლე ფორმის (37 პოზა) დახვეწა; იან ჩენ-ფუს გრძელი ფორმის, წყვილთა სავარჯიშო ფორმების — ტუი-შუსა და ტა-ლი-უს, იარაღიანი ტაი-ცი-ციუანის (მახვილით) მოკლე (22 მოძრაობა) და გრძელი ფორმების ათვისება; მედიტაციის ტექნიკა და საუბრები: ტაი-ცის ისტორიაზე, ფილოსოფიაზე, მიმდინარეობებზე, დიდ ოსტატებსა და მათ სკოლებზე, აგრეთვე სწორი კვებისა და სუნთქვის საკითხებზე და სხვ.

დრო ცოტა გვქონდა და მუშაობა დაძაბული მოგვიხდა: ყოველდღე 8-8 საათი ვარჯიშებს ეთმობოდა, 3-3 საათი კი — თეორიულ საუბრებს.

ამ საუბრების დროს ქ-ნი პეტრა გვპასუხობდა დასმულ კითხვებზეც. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს:

— იზიარებთ თუ არა ოსტატ ტოიო კობაიაშის აზრს კვების დილის 11 საათზე დაწყების შესახებ?

— რასაკვირველია. მათთვის, ვინც იცნობს ჩენ-ციუს მერიდიანთა სისტემას, ვფიქრობ, ცხადი უნდა იყოს, რომ დროს დილის 11 საათამდე ორგანიზმი თვითგანწმენდას ახმარს, ე. ი. სულ სხვა საქმითაა დაკავებული და ამიტომ ამ დროს მიღებულ საკვებს იგი ღებულობს, როგორც ანტისხეულს, როგორც შხამს, რომელიც უნდა განიდევნოს. შესაბამისად, სხეული ეწინააღმდეგება ამ პროცესს და სწორედ ამიტომ დილის საუზმე ასე უგემურია ყოველთვის. დასავლთის ქვეყნებში — გერმანიაში, ინგლისში, ესპანეთში დილის საუზმე საერთოდ ამოღებულია დღიური რაციონიდან: იქ ორჯერად კვებაზე არიან

იხ. მე-4 გვ.

შორი გზა ჩინეთიდან საქართველომდე

(დასასრული)

გადასული. ავადმყოფობის დროს დილის საუზმეზე „ყარს ამბობენ ყველაზე დიდი გურმანებიც კი — ისინი, ვინც ჩვეულებრივ ვერ ელევიან ამ მოძველებულ ტრადიციასა თუ მავნე ჩვევას. ამ დროის განმავლობაში ორგანიზმი იწმინდება, თანდათან იბრუნებს ჯანმრთელობას და აღიდგენს თავის ნორმალურ მდგომარეობას. ამის შემდეგ — სურვილისდა მიხედვით — დასაშვებია დავუბრუნდეთ დილის საუზმეს.

აქვე მინდა გაგაფრთხილოთ, რომ 11 საათზე კვების დაწყების შემთხვევაში უნდა დაიცვათ მეორე აუცილებელი პირობაც — არავითარი კვება საღამოს 6 საათიდან.

— რომელ პროდუქტებს ანიჭებთ უპირატესობას?

— პირადად მე ხორცი მთლიანად ამოღებული მაქვს რაციონიდან. ხორცი, მართალია, კარგი პროდუქტია, რამდენადაც იგი შეიცავს სისხლს, მაგრამ მიმაჩნია, ყველასათვის უმჯობესი იქნება მისი მიღების მაქსიმალურად შეზღუდვა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ქრისტიანული მარხვები. საერთოდ, ორგანიზმს პერიოდულად განტვირთვა ესაჭიროება. მე, მაგალითად, კვირაში ერთი დღე მაქვს აბსოლუტური მარხვისა, ანუ ვსვამ მხოლოდ ანადუღარ წყალს, ჭამით კი არაფერს ვჭამ. თვეში ასეთი 4 დღე გამოდის, წელიწადში — 48, ე. ი. დაახლოებით თვენახევარი. ეს სრულიად საკმარისია ორგანიზმის დასასვენებლად, მისი „ფორმის“ შესანარჩუნებლად.

საკვების მიღებისას ანგარიში უნდა გაეწიოს მიღებულ პროდუქტთა მრავალფეროვნებასა და რაოდენობასაც, რადგან ჩვენი კუჭი იძულებულია თითოეულ პროდუქტს მისი გათხევადებისა და გადამუშავებისათვის შესაბამისი „გასაღები“ მოუნახოს, ამას კი გარკვეული დრო და ენერგია ესაჭიროება. ორგანიზმისათვის ძლიერ სასარგებლოდ მიმაჩნია ხილ-ბოსტნეული, ფაფეული (წიწიბურა, ბრინჯი და სხვ.), ლობიო, ხორბლის (ჯეჯილის) ყლორტები, სვადასტვა თესლეული, წყალმცენარეები, ვიტამინები, აგრეთვე ყველი, მაწონი (კეფირი) და ძროხის რძე — ყველაფერი ეს იმ პირობით, რა თქმა უნდა, რომ მათში არ იქნება ორგანიზმისათვის მავნე ქიმიური ნივთიერებები (ნიტრატები, მაგალითად). აქვე უნდა შევნიშნო, რომ რძის მიღებისას ავადმყოფებმა სიფრთხილე უნდა დაიცვან, რადგან რძიანი ფაფები მძიმე საკვებად ითვლება. საერთოდ, ავადმყოფთათვის სასურველია უფრო უბრალო, მსუბუქი საკვების მიღება, რათა ორგანიზმის ძირითადი სასიცოცხლო ძალები მოხმარდეს არა საკვების გადამუშავებას, არამედ მის გაჯანსაღებას. საჭიროა დავიცვათ გარკვეული თანმიმდევრობაც: არაა რეკომენდირებული, მაგალითად ხილისა და ბოსტნეულის, ან ფაფებისა და ხილის ერთდროული მიღება; სასარგებლოა ფაფებისა და ბოსტნეულის ერთად მიღება და სხვ.

მაგრამ მიწიერი საკვები მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც ადამიანს ესაჭიროება. აუცილებელია აგრეთვე მისი მაბალანსირებელი ზეციური ძალის, ანუ კოსმოსური ენერგიის შეთვისებაც, რაც ცხვირის ღრუთი — სწორი სუნთქვის მეშვეობით ხორციელდება. ეს სუნთქვის ერთი ასპექტია. გარდა ამისა, ტაი-ციციუანს სხვა მიდგომაც აქვს სუნთქვისადმი — ესაა ჩი-ენერგიის (ე ი. ორგანიზმის შიგა ენერგიის) განვითარება.

თუ სუნთქვის პროცესი, შეიძლება ითქვას, თავისთავად ხორციელდება, ჩი-ს გამომუშავებას უკვე გაცნობიერებული მუშაობა ესაჭიროება. ჩემს წიგნებში ყველგან მივუთითებ, რომ ჩვენ უნდა ვეცადოთ, მივბაძოთ პატარა ბავშვს — როგორც სუნთქვით, ასევე მოძრაობებითაც და საერთოდ ყველაფრით. საქმე იმაში გახლავთ, რომ ბავშვები ღრმა ქვედა სუნთქვას ფლობენ — ისინი ფილტვებს კი არ ამოძრავებენ, არამედ მუცელს (დიაფრაგმას); არიან ძალზე რბილები, მოძრავნი და მგრძნობიარენი. სწორედ ამაში მდგომარეობს ჩი-ს გამომუშავების უმაღლესი ტექნიკა, რამდენადაც ესაა ადამიანის ჭეშმარიტად ბუნებრივი მდგომარეობა. აი, ორგანიზმის ასეთ მდგომარეობას უნდა მივაღწიოთ ტაი-ცის მეშვეობით. მისი დანიშნულებაა, სწორი ორგანიზება გაუწიოს სუნთქვას, დაბვეწოს მისი ტექნიკა, „მიუჩინოს მას შესაბამისი

მეცადინეობაზე. მარჯვნივ — იური ყეინაშვილი.

ადგილი“ ორგანიზმში, მოაქციოს იგი გარკვეულ კალაპოტში, რამდენადაც სუნთქვა — არა მარტო ჟანგბადის ჩასუნთქვაა, არამედ ეს — კოსმოსური ენერგიის შეთვისებაცაა და რაც უფრო ღრმად და „რბილად“ ჩავისუნთქავთ, მით უფრო მეტ კოსმოსურ ენერგიას შევითვისებთ.

ყველაფერი — მერიდიანები აკუპუნქტურული წერტილები, ჩაკრები, დან-ტიენი და სუნთქვაც — ჩი-სთანაა დაკავშირებული.

ჩემი გაგებით, ადამიანები, არ მისდევენ რა ტაი-ცის პრინციპებს, ამით ეწინააღმდეგებიან საკუთარ ბუნებას და ამიტომ ხდებიან დაძაბულნი, მყარნი და ხისტები. თვით ტაი-ცი-ციუანი კი არავის და არაფერს ეწინააღმდეგება. ქრისტიანულ ინდიურ და ტიბეტურ მისტიციზმებსა და ძენს შორის განსხვავება ძალზე მცირეა და ამიტომ ყველა ჩვენ, ადამის ძენი, ერთიანნი ვართ, ყველანი საბოლოოდ ურთიერთშეგცნებისაკენ, ერთმანეთის სიყვარულისაკენ მივდივართ...

— ამასთან, — გვითხრა ქ-ნმა კობაიაშმ,—ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ქართველთა ბუნება და ზნე-ჩვეულებები განსხვავდება როგორც დასავლეთის, ისე შორეული აღმოსავლეთის ხალხთა ბუნებისა და ზნე-ჩვეულებებისაგან. ამიტომ, ტაი-ციციუანის უმაღლესი პრინციპები რომ გახახორციელოთ და ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობა განიმტკიცოთ, საჭიროა ეძებოთ და შეიმუშაოთ თქვენი სპეციფიკის შესაფერის ვარჯიშთა ორიგინალური ფორმები...

რა თქმა უნდა, ჩვენ შევეცდებით, შევასრულოთ დიდი ოსტატის ეს რეკომენდაცია და ხელი შევუწყოთ ჩვენი ერის გაძლიერებას, მის შემდგომ ფიზიკურ და სულიერ სრულყოფას.

იური ყეინაშვილი.
სპეციალურად „ლელოსთვის“.

ამჯერად „ცოდნის“ ბიბლიოთეკა

შეგვახსენა

ბავშვთა ფიზიკურ მომზადებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მათი ჯანმრთელობის, არამედ ინტელექტუალური განვითარებისაც თვისაც.

სწორედ ამ პრობლემას ეხება საზოგადოება „ცოდნის“ მიერ ახლახან გამოცემული პროფესორ ვ. ელაშვილის ბროშურა „სასკოლო ფიზიკური აღზრდის ზოგიერთი პრობლემა“ (ტირაჟი 31000).

ბროშურის დანიშნულებაა გააცნოს ფართო მკითხველს ის მძიმე და სავალალო მდგომარეობა, რომელიც სკოლის მოსწავლეთა ფიზიკურ მომზადებაში შეიქმნა.

ბროშურის ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ დადგა დრო, მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას, რომელიც მათი ჟანმრთელობის საწინდარია, სათანადო ყურადღება მიექცეს. იგი სამართლიანად მოითხოვს, სკოლებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები კვირაში 6 საათამდე გაიზარდოს.

აღსანიშნავია, რომ უკრაინისა და ბელორუსიის რესპუბლიკებმა მოახერხეს ბევრ სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილების კვირაში 6 საათამდე გაზრდა. საკითხავია, რა დააშავეს ჩვენმა მოსწავლეებმა?

ყურადღების ღირსია ვ. ელაშვილის წინადადება, ფიზკულტურის გაკვეთილში ჩართული იყოს ხალხური მოძრავი თამაშები. იგი მიუთითებს, რომ ხალხური მოძრავი თამაშები ფაქტიურად დარჩა I-IV კლასებში, ხოლო ზედა კლასებიდან ამოღებულია. რა თქმა უნდა, ეს არასწორი ნაბიჯია, რადგანაც მოძრავი თამაშების მიზანი არა მარტო მოსწავლეთა ჰარმონიული ფიზიკური მომზადებაა, არამედ მას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც გააჩნია. მით უმეტეს დღეს, როცა ეროვნული საკითხი საკმაოდ გამწვავებულია. სხვადასხვა ხალხების მოძრავი თამაშების ჩართვა ფიზკულტურის გაკვეთილებში დადებით როლს ითამაშებს ჩვენი მოსწავლების ურთიერთდამეგობრებაშიც.

საინტერესოა, რომ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიკური კულტურის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის წინადადებით ფიზკულტურის გაკვეთილებზე ხალხური თამაშები ჩართეს, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო. ამან მოწავლეებში მეტი ინტერესი გამოიწვია; გაკვეთილების გაცდენაც შემცირდა, გაუმჯობესდა დისციპლინა და, რაც მთავარია, გაკვეთილებში ჩართული თამაშების ისტორიულ-ეთნოგრაფიული სათავეების გაცნობამ დიდად დაინტერესა ბავშვები.

გარდაქმნის პროცესი საშუალო სკოლებს დადად არ შეხებია, ამიტომ ზემოაღნიშნულ ბროშურაში ავტორის მიერ დასმული საკითხები ყურადსაღებია და მოითხოვს სპეციალურ განხილვას.

დავით ჯაჯარაშვილი.
დოცენტი.

მ. ბელოდედიჩი— „ცრვენა ზვეზდაში“

იუგოსლავიის ერთ-ერთმა საუკეთესო საფეხბურთო კლუბმა „ცრვენა ზვეზდამ“ ბელგრადში სულ ახლახან ხელი მოაწერა კონტრაქტს ცნობილ რუმინელ მოთამაშე მიოდრაგ ბელოდედიჩთან. რუმინეთის ნაკრებისა და ბუქარესტის „სტიუაუს“ ყოფილი ფეხბურთელი ხელშეკრულების თანახმად 4 წლის განმავლობაში ითამაშებს იუგოსლავიის ამ პოპულარულ გუდში.

რუმინული გაზეთები აღნიშნავენ, რომ მიოდრაგ ბელოდედიჩი ნ. ჩაუშესკუს დიქტატორულ რეჟიმს გაექცა და იუგოსლავიას შეაფარა თავი.

მომავლის სამზადისში

შარშანდელი სეზონის დამთავრების შემდეგ „ფორმულა 1“ კლასის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე ყველა ფირმა ახალი ასპარეზობისთვის შეუდგა მზადებას.

გაიფორმა რამდენიმე კონტრაქტი.

იტალიის ქალაქ მარანელოს „ფიორანოს“ ტრასაზე პირველი საწვრთნელი შეკრება მოაწყო „ფერარომ“. ალენ პროსტს სულმა წასძლია, დათქმულ დროზე ადრე მიუჯდა საჭეს და თანაგუნდელიც აიყოლია.

ოფიციალური შეხვედრა კი 4-10 დეკემბერს, პორტუგალიის „ეშტორილზე“ შედგა. მსოფლიო ჩემპიონისა და ნაიჯელ მენსელის გარდა აქ იყო „ფერარის“ ახალი გამომცდელი, იტალიისა და ევროპის 1989 წლის ჩემპიონი, 24 წლის ჯანი მორბიდელი, რომელმაც შეცვალა „ონიქსში“ მიწვეული ფინელი იარკი იარკელეტტი.

„ეშტორილზე“, მანქანის გამოცდის დროს, კატასტროფაში მოყვა მაურიციო გუჟელმინი. მისი „მარჩჯადი“ დაჯახებისგან დაიმსხვრა, პილოტი კი არ დაშავებულა.

4 დეკემბერს ნაჩვენები შედეგები ასეთია:

1. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამს-რენო“) — 1.17,82; 2. ალესანდრო ნანინი (იტალია, „ბენეტონ-ფორდი“) — 1.18,43; 3. მარტინ ბრანდლი (ინგლისი, „უილიამს-რენო“) — 1.19,05; 4. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „ფერარი“) — 1.19,13.

5 დეკემბერი: 1. ნაიჯელ მენსელი — 1.18,90; 2. ერიკ ბერნარი (საფრანგეთი, „ლარუს-ლამბორგინი“) — 1.19,17; 3. რიკარდო პატრეზე — 1.19,24; 4. ალესანდრო ნანინი — 1.19,25; 5. ნიკოლა ლარინი (იტალია, „ლიჟიე-ფორდი“) 1.19,89; 6. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონ-ფორდი“) — 1.19,97.

პარიზში საზეიმო შეხვედრა და დაჯილდოება მოუწყვეს ჩემპიონებს. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს ალენ პროსტს გადაეცა ჩემპიონთა ჩემპიონის „ოქროს მუზარადი“. აქვე იყვნენ მისი თანამემამულეებიც: ჟან-ლუი შლესერი — მსოფლიოს 1989 წლის ჩემპიონი „პროტოტიპების“ კლასში და ჟან ალესი — მსოფლიოს 1989 წლის ჩემპიონი „ფორმულა 3000“ კლასში.

9 დეკემბერს საუკეთესო დრო აჩვენა ტიერი ბუტსანმა (ბელგია, „უილიამს-რენო“) — 1.32,02. მეორე იყო ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „ფერარი“) — 1.32,43; მესამე — გერჰარდ ბერგეი (ავსტრია, „მაკლარენ ჰონდა“) — 1.33,58.



როგორც ხედავთ, რონ დენისმა („მაკლარენი“) და ფრენკ უილიამსმა („უილიამსი“) ავტომობილის გამოსაცდელად მიიწვიეს სხვა ფირმის პილოტები.

10 დეკემბერს „ეშტორილზე“ ალენ პროსტმა დაამყარა ტრასის რეკორდი — 1.17,10.

შემდეგ პილოტებმა საფრანგეთის „პოლ რიკარზე“ გადაინაცვლეს.

ალესანდრო ნანინი ერთ-ერთ მოსახვევზე კატასტროფაში მოყვა. ამჯერადაც, საბედნიეროდ, მხოლოდ მანქანა დაზიანდა.

11 დეკემბერი: 1. ალენ პროსტი — 1.17,27; 2. ალესანდრო ნანინი — 1.17,79; 3. ჯანი მორბიდელი (იტალია, „ფერარი“) — 1.18,48; 4. ივან კაპელი — 1.19,21; 5. ნელსონ პიკე — 1.19,71; 6. ბრუნო ჯაკომელი (იტალია, „მარჩ-ჯადი“) — 1.22,36.

21 დეკემბერს „პოლ რიკარზე“ ნიკოლა ლარინი ერთ-ერთ მოსახვევს საათში 300 კმ სიჩქარით გადიოდა და ბარიერს შეეჯახა. პილოტი გადარჩა.

1. ანდრეა დე ჩეზარისი (იტალია, „დალარა-ფორდი“) — 1.07,9; 2. ტიერი ბუტსანი — 1.08,8; 3. ფილიპ ალიე — 1.09,4; 4. ალესანდრო ნანინი — 1.09,8; 5. ნიკოლა ლარინი — 1.09,9; 6. ბერნდ შნაიდერი (გფრ), „ცაკსპიდ-იამაჰა“) — 1.10.

22 დეკემბერს ამავე ტრასაზე ავარიაში მოყვა ალესანდრო ნანინი. საუკეთესო დრო აჩვენა ბერნდ შნაიდერმა — 1.08,2.

ჯანკარლო მინარდიმ თავის გუნდში მეორე ნომრად მიიწვია იტალიელი პაოლო ბარილა, რომელიც ადრე სერიული ავტომობილებით და პროტოტიპებით ასპარეზობდა.

„ვალელუნგას“ ტრასაზე, ახალი კონსტრუქციის „მინარდის“ გამოცდისას, პიერლუიჯი მარტინიმ ტრასის რეკორდი დაამყარა — 58,84.

მსოფლიოს 41-ე ჩემპიონატი კვლავ 16 ქვეყნის ტრასაზე ჩატარდება შემდეგი თანმიმდევრობით:

11 მარტი, აშშ, „ფინიქსი“ რბოლა ქუჩებში.

25 მარტი, ბრაზილია „ინტერლაგოსი“, სან-პაულუ.

13 მაისი, სან-მარინო, „იმოლა“,

27 მაისი, მონაკო, მონტე-კარლო, რბოლა ქუჩებში.

10 ივნისი, კანადა, მონრეალი, „ჟილ ვილნევი“.

24 ივნისი, მექსიკა, მეხიკო, „ჰერმანოს როდრიგესი“.

8 ივლისი, საფრანგეთი, „პოლ რიკარი“.

15 ივლისი, ინგლისი, „სილვერსტოუნი“.

29 ივლისი, გფრ, „ჰოკენჰაიმრინგი“.

12 აგვისტო, უნგრეთი, ბუდაპეშტი, „ჰუნგარორინგი“.

26 აგვისტო, ბელგია, „სპა-ფრანკორშამპი“.

9 სექტემბერი, იტალია, „მონცა“.

23 სექტემბერი, პორტუგალია, „ეშტორილი“.

30 სექტემბერი, ესპანეთი, „ხერეს-დე-ლა-ფრონტერა“.

21 ოქტომბერი, იაპონია, „სუძუკა“.

4 ნოემბერი, ავსტრალია, ადელაიდა, რბოლა ქუჩებში.

დავით ჩუგინიძე.

ა. კარპოვი მხოლოდ მესამე იყო

იტალიის ქალაქ რეჯო-ნელ-ემილიაში დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტრადიციული საახალწლო ტურნირი, რომელმაც 7,5 ქულით გამარჯვება მოუტანა იან ელვესტს. 10 შესაძლებლიდან 6,5 ქულა მოაგროვა ვასილი ივანჩუკმა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ექსჩემპიონ ანატოლი კარპოვს მხოლოდ III ადგილი ერგო — 6 ქულა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ულფ ანდერსონი (შვეცია), ზოლტან რიბლი (უნგრეთი) — 5,5-5,5 ქულა, მიხეილ გურევიჩი — 5, კრუმ გეორგიევი (ბულგარეთი), მარგეირ პეტურსონი (ისლანდია) — 4,5-4,5, ნიკ დე ფირმიანი (აშშ), ლაიოშ პორტიში (უნგრეთი) — 4-4, ალექსანდრე ბელიავსკი — 2.

დაბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჭადრაკის მოყვარულთ ალბათ არც კი ახსოვთ ერთ-ერთი წამყვანი საბჭოთა დიდოსტატის ალექსანდრე ბელიავსკის ამგვარი „ფიასკო“.

რედაქტორი
თ. ჭაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380006, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-53,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„ფერანი“ — 93-97-86, „მრავალი“ — 93-97-87.

ჩვენი ინდექსი 60435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენიანი სტამბა. 380006, თბილისი, ლენინის ქ. 14. ბეჭდავს ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიმშიაშვილის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08701.